



ადმონსავლეთის პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



## მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 29 ივლისი, 2013 წელი

დრო: 17:00 – 19:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (თანაკოორდინატორი)
2. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი (თანაკოორდინატორი)
3. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
4. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
5. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
6. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
7. გიორგი აბულაშვილი - ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
8. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
9. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
10. რევაზ ბურჭულაძე - ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
11. ნიკოლოზ სუმბაძე - საქართველოს ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა ასოციაცია

შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს ეროვნული პლატფორმის ფარგლებში მონიტორინგის ანგარიშების მომზადების საკითხზე. დამსწრეებმა განსაზღვრეს ძირითადი სამუშაო საკითხები და ექსპერტთა ჯგუფების სავარაუდო შემადგენლობა. წევრები შეთანხმდნენ, რომ საკითხების ჩამონათვალი და ექსპერტთა სია დაიგზავნება ჯგუფში, რათა საბოლოოდ განისაზღვროს სამუშაო საკითხები, ჯგუფების შემადგენლობა და კოორდინატორების ვინაობა.

ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს პარლამენტის სამ კომიტეტთან (საფინანსო-საბიუჯეტო, დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების) შეხვედრის ორგანიზების საკითხზე. თანაკოორდინატორის თქმით, შეხვედრაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის აპარატმა. ჯგუფის წევრების აზრით, კარგი იქნება თუ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს ასევე პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი. აღინიშნა, რომ შეხვედრა უნდა ჩატარდეს მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე.

მსჯელობის შედეგად დამსწრეები შეთანხმდნენ შეხვედრის დღის წესრიგზე. გადაწყდა, რომ თანაკოორდინატორები კომიტეტებს გააცნობენ საქართველოს ეროვნული პლატფორმის მესამე სამუშაო ჯგუფს, მის მიზნებს, ამოცანებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. შეხვედრის მონაწილეები იმსჯელებენ საქართველოში არსებულ ენერგეტიკულ და გარემოს დაცვითი პოლიტიკაზე. გადაწყდა, რომ ყველა საკითხს ეყოლება თითო მომხსენებელი, თუმცა თემები მომზადდება ჯგუფის წევრების მიერ ერთობლივად. შემუშავდება ასევე კომიტეტებთან მესამე სამუშაო ჯგუფის ურთიერთობის მემორანდუმი, რომელიც გაფორმდება შეხვედრაზე. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ შეხვედრის დღის წესრიგს თანაკოორდინატორები დააგზავნიან ჯერ ჯგუფში, ხოლო შემდეგ - კომიტეტებთან.

”მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის” წარმომადგენელმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია ვილნიუსში გამართული აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმის მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის შესახებ. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, შეხვედრის ძირითადი ნაწილი დაეთმო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ნავთობის ინფრასტრუქტურულ პროექტებს. საქართველოდან შეხვედრას ესწრებოდნენ ნავთობისა და გაზის კორპორაციის წარმომადგენლები, რომელთაც ისაუბრეს ნავთობთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეხვედრას არ ესწრებოდა აზერბაიჯანის დელეგაცია, სომხეთის წარმომადგენლებმა თავიანთ პრეზენტაციაში ისაუბრეს ატომური სადგურის მშენებლობაზე. ”მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის” წარმომადგენლის თქმით, არსებობს ევროკავშირის რეგულაცია, რომელიც გულისხმობს მეზობელი ქვეყნების უფლებას აკონტროლონ ატომური სადგურის მშენებლობა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის თუ რა სტანდარტებით აშენდება ასეთი სადგური და რამდენად უსაფრთხო იქნება ის მეზობელი ქვეყნისთვის, მეორე მნიშვნელოვანი საკითხია პოლიტიკური უსაფრთხოება. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება და შესაბამისი რეაგირება.

შეხვედრის ბოლოს ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ეროვნულ პლატფორმას დაეგზავნოს ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმულზე მონაწილეთა შერჩევის პროცედურების შესახებ და ასევე ფორუმის მონაწილეთა საბოლოო სია.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია